



საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი  
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

# პოლიტიკის დოკუმენტი

თებერვალი 2020 / გამოცემა #22

## საზოგადოების ნდობა დემოკრატიისა და სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ: პოპულისტური ნაციონალისტური ჯგუფების გავლენები

გვანცა დავითაშვილი<sup>1</sup>

### მოკლე შინაარსი

საქართველოს დემოკრატიზაციის პროცესი, სახელმწიფო ინსტიტუტებისა და დემოკრატიის მიმართ საზოგადოებრივი ნდობის კლებადი ტენდენციის ფონზე, დამატებითი გამოწვევების წინაშე დგას. ამ დისკურსში, პოპულისტური ნაციონალისტური ჯგუფების გააქტიურება, თავის მხრივ, დემოკრატიული პროცესების განვითარების შემაფერხებელ დამატებით რისკებს ქმნის. სახელმწიფო ინსტიტუტები არაეფექტიანად რეაგირებენ პოპულისტური ჯგუფების გავლენების საპირწონედ, რაც ხელს უწყობს პოპულისტური ნაციონალისტური პარტიებისა და ჯგუფების არადეკლარირებული მიზნების, დაფინანსების წყაროების, არაფორმალური კავშირებისა და გავლენების შესახებ, ინფორმაციის გაუმჭვირვალობას. აღნიშნულს თან ერთვის დემოკრატიული ინსტიტუტების მიმართ საზოგადოების ნდობის კლებადი ტენდენცია, რაც ზრდის შესაძლებლობას პოპულისტური ჯგუფების გავლენის გაძლიერების, მიუხედავად იმისა, რომ ამ დრომდე გარდამტეხი გავლენა პოლიტიკურ დღის წესრიგზე არ მოუხდენიათ.

**საკვანძო სიტყვები:** დემოკრატიზაცია, პოპულისტური ჯგუფები, საქართველო, სახელმწიფო ინსტიტუტები, საზოგადოების ნდობა.

### შესავალი

საქართველოს დემოკრატიზაციის პროცესის კვლევა, რომლის განუყოფელი ნაწილიცაა სახელმწიფო ინსტიტუტების ეფექტურობისა და ეფექტიანობის შეფასება, მჭიდროდ უკავშირდება საზოგადოების ნდობის ფორმირებისა და ჩართულობის ხარისხს დემოკრატიის კონსოლიდაციის პროცესში. საზოგადოების ნდობა სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ, პოლიტიკური ელიტებისთვის უნდა იყოს სიგნალი სტრატეგიული პოლიტიკის ფორმირებისა და შემდგომი იმპლემენტაციისათვის. ამ დისკუსიის

<sup>1</sup> გვანცა დავითაშვილი არის სრული პროფესორი ნიუ ვიქენ უნივერსიტეტში, ფლობს ბასკეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორის ხარისხს.

განუყოფელი ნაწილია ის ფაქტორები, რაც გავლენას ახდენს საზოგადოების ნდობაზე დემოკრატიისა და დემოკრატიული ინსტიტუტების მიმართ. ნაციონალისტური პოპულისტური ჯგუფების აქტიურობა და გავლენა სახელმწიფოს შიდა და საგარეო პოლიტიკაზე, რაც ბოლო პერიოდში კიდევ უფრო ინტენსიურად შეინიშნება, კონტექსტის გათვალისწინებით, ერთ-ერთი საფრთხეა. ეს ნაშრომი ანალიზებს რამდენად ახდენენ გავლენას პოპულისტური ნაციონალისტური ჯგუფები დემოკრატიისა და სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ საზოგადოების ნდობაზე. პასუხისმგებელი სახელმწიფო ინსტიტუტები, პოპულისტური პოლიტიკური პარტიებისა, თუ საინიციატივო ჯგუფების მიერ ანტი-ლიბერალური ნარატივის პროპაგანდაზე მყისიერად და ეფექტიანად არ რეაგირებს, რამაც შესაძლოა გრძელვადიან პერსპექტივაში საფრთხის წინაშე დააყენოს ქართული პოლიტიკური დღის წესრიგი, თუმცა ამ დრომდე ხელშესახები ნეგატიური შედეგი მათ ინტენსიურ აქტობას შიდა, თუ საგარეო პოლიტიკურ დისკურსში არ მოუტანია. ამ ნარკვევში, ასევე წარმოდგენილია რეკომენდაციები სახელმწიფო ინსტიტუტებისა და პოლიტიკური პარტიებისთვის.

### **საზოგადოების ნდობა დემოკრატიისა და სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ**

საზოგადოების პოლიტიკური ნდობის ფორმირება დემოკრატიისა და სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ კომპლექსური პროცესია, რაც თავისთავად აისახება დემოკრატიზაციის ხარისხზე ქვეყანაში.

საქართველოში, დემოკრატიული მმართველობის გაძლიერება, როგორც მმართველი პოლიტიკური ელიტის პასუხისმგებლობა, თავისმხრივ, პირდაპირ კავშირშია საქართველოს ევროინტეგრაციულ დღისწესრიგთან. ევროპულ კავშირთან პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესი, რომელიც მოიცავს პირობითობიდან გამომდინარე დემოკრატიის ხარისხის გაუმჯობესების გარანტიებსაც,<sup>2</sup> გაფართოების პოლიტიკის არარსებობის პირობებში, შეუქცევადად არ ვითარდება. გარდა ამისა, დემოკრატიის გაძლიერებას თუ გავანალიზებთ, ფუნქციური თანამშრომლობის დისკურსში, ცხადი ხდება, რომ ცალკეულ სექტორებში განხორციელებული რეფორმები, ქვეყანაში დემოკრატიის საერთო ხარისხის გაუმჯობესებაზე არ ახდენს გავლენას.<sup>3</sup> მიუხედავად, დემოკრატიული მმართველობის გასაძლიერებლად გადადგმული ცალკეული ნაბიჯებისა,<sup>4</sup> აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების მსგავსად, საქართველოშიც გამოწვევად რჩება საკანონმდებლო ცვლილებების პრაქტიკაში დანერგვა.<sup>5</sup> დემოკრატიის კონსოლიდაციისა და აქედან გამომდინარე საზოგადოებისთვის ხელშესახები შედეგების მისაღებად, ხელისუფლების მდგრად, თანმიმდევრულ, განგრძობად და პროქტიულ ძალისხმევას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

<sup>2</sup> ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, 200/42, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, გამოქვეყნების თარიღი 11.09.2014.

<sup>3</sup> Tina Freyburg, Sandra Lavenex, Frank Schimmelfennig, Tatiana Skripka, Anne Wetzel (2009) EU promotion of democratic governance in the neighbourhood, *Journal of European Public Policy*, 16:6, 916-934, DOI: [10.1080/13501760903088405](https://doi.org/10.1080/13501760903088405).

<sup>4</sup> European Commission Joint Staff Working Document (2019) "Association Implementation Report on Georgia", Brussels, 30.1.2019.SWD(2019)16Final.

<sup>5</sup> *Ibid.*

დემოკრატიის ხარისხის გაუარესება საქართველოში, გასულ წლებთან შედარებით, დემოკრატიის ინდექსის 2019 წლის მაჩვენებლებით დასტუდება, ისეთი ინდიკატორების გათვალისწინებით, როგორცაა ეროვნული დემოკრატიული მმართველობა, საარჩევნო პროცესი, სამოქალაქო საზოგადოება, დამოუკიდებელი მედია, ადგილობრივი დემოკრატიული მმართველობა, სასამართლო სისტემა და დამოუკიდებლობა, კორუფცია.<sup>6</sup> დემოკრატიის ხარისხის შემცირებაზე მიუთითებს, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევა დემოკრატიზაციისა და პოლიტიკის დინამიკის თაობაზე ქართველი და საერთაშორისო ექსპერტების გამოთხვის მეთოდით. ექსპერტების 78% ფიქრობს, რომ „საქართველოში დემოკრატიის ხარისხი გაუარესდა“, 22% ფიქრობს რომ დემოკრატიის ხარისხი არ შეცვლილა, ხოლო გამოკითხული 23 ექსპერტიდან არცერთი ფიქრობს, რომ დემოკრატიის ხარისხი საქართველოში გაუმჯობესდა.<sup>7</sup> მნიშვნელოვანია შეფასდეს ის გამოწვევებიც, რაც საქართველოში დემოკრატიის განვითარების დღის წესრიგში დგას. ექსპერტები მთავარ პრობლემად მიიჩნევენ სასამართლო ხელისუფლები დამოუკიდებლობას, არაფორმალური მმართველობას, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაბალი დონეს და სოციალური უთანასწორობას.<sup>8</sup>

საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტებისა მიმართ ნდობის დეფიციტი რომ არსებობს, ამას ადასტურებს როგორც გასული წლების, ასევე უახლესი კვლევები.<sup>9</sup> 2019 წლის ნოემბერში, NDI-ის მიერ ჩატარებული კვლევების შედეგები ცხადყოფს, რომ საზოგადოების ნდობა დემოკრატიისა და სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ მეტწილად კლებადი ტენდენციით ხასიათდება.

კითხვაზე არის თუ არა დემოკრატია საქართველოში, 33% დადებითად, ხოლო 59% უარყოფითად პასუხობს, ამასთან 2017-2018 წლებთან შედარებით, ქვეყანაში დემოკრატიის არსებობასთან დაკავშირებით საზოგადოების უარყოფითი პასუხი მკვეთრად გაზრდილია.<sup>10</sup>

<sup>6</sup> საქართველოსთვის დემოკრატიის ინდექსი 2018 წლის მონაცემების მიხედვით 4.61-დან 4.68-მდეა გაზრდილი. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ.: Freedom House (2018) Georgia. ხელმისაწვდომია: [https://freedomhouse.org/sites/default/files/NiT2018\\_Georgia\\_final.pdf](https://freedomhouse.org/sites/default/files/NiT2018_Georgia_final.pdf) წვდომის თარიღი 22.01.2020. ასევე, იხილეთ: <https://freedomhouse.org/report/freedom-world/2019/georgia> წვდომის თარიღია 01.02.2020.

<sup>7</sup> დემოკრატიის ხარისხზე საერთაშორისო და ქართველი ექსპერტების მოსაზრებები დეტალურად, იხილეთ: ექსპერტთა გამოკითხვა (2019) „ექსპერტთა აზრით საქართველოში დემოკრატიის ხარისხი უარესდება“, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, გამოცემა N10.


<sup>8</sup> დემოკრატიის ხარისხზე საერთაშორისო და ქართველი ექსპერტების მოსაზრებები დეტალურად, იხილეთ: ექსპერტთა გამოკითხვა (2019) „ექსპერტთა აზრით საქართველოში დემოკრატიის ხარისხი უარესდება“, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, გამოცემა N10.

<sup>9</sup> კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (2019) „NDI: საზოგადოების განწობა საქართველოში, 2019 წლის დეკემბრის გამოკითხვის შედეგები“, ჩატარებული NDI-ის დაკვეთით CRRC საქართველოს მიერ.

<sup>10</sup> *Ibid.*

## დემოკრატია

თქვენი აზრით, საქართველოში ამჟამად არის დემოკრატია? (q3)



წყარო: NDI-ის 2019 წლის გამოკითხვის შედეგები „საზოგადოების განწყობა საქართველოში“


საზოგადოების განწყობის კვლევისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის, როგორც პირდაპირ არჩეული და ლეგიტიმაციის მაღალი ხარისხის მქონე ინსტიტუტების შეფასება, რომელთა მიმართ როგორც საზოგადოების მოლოდინები, ისე პასუხისმგებლობა პოლიტიკურ პროცესების მართვაში, განსაკუთრებით მაღალია. NDI-ის კვლევის შედეგების თანახმად, გამოკითხულთა 93%-ს არ ჰქონია პარლამენტის წევრთან, ან მის წარმომადგენელთან კომუნიკაცია.<sup>11</sup> ამასთან, პარლამენტის წევრთან კომუნიკაციისთვის საუკეთესო ფორმად საზოგადოების 47%-ს საჯარო შეხვედრები მიაჩნია; 55% კი ფიქრობს, რომ მისი სურვილის შემთხვევაში პარლამენტის წევრთან შეხვედრას ადვილად ვერ შეძლებდა; 64% ფიქრობს, რომ პარლამენტის წევრები არ ითვალისწინებენ საზოგადოების მოსაზრებებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში; 73%-ის აზრით, პარლამენტის წევრები გააკეთებენ იმას, რასაც პარტია ეტყვის, ხოლო 26% სჯერა მათი ინტერესების დაცვის.<sup>12</sup> თუ პრეზიდენტის საქმიანობას, 2018 წლის მარტში უარყოფითად 17% აფასებდა, 2019 წლის ნოემბრის მონაცემები ეს რიცხვი 54%-მდე გაზრდილი.

<sup>11</sup> კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (2019) „NDI: საზოგადოების განწყობა საქართველოში, 2019 წლის დეკემბრის გამოკითხვის შედეგები“, ჩატარებული NDI-ის დაკვეთით CRRC საქართველოს მიერ.

<sup>12</sup> *Ibid.*

## პრეზიდენტის საქმიანობის შეფასება

ამ ზარათის მეშვეობით გთხოვთ, მითხრათ, როგორ შეაფასებდით პრეზიდენტის საქმიანობას? (q5\_2)




წყარო: NDI-ის 2019 წლის გამოკითხვის შედეგები „საზოგადოების განწოლა საქართველოში“

არსებული მთავრობის საქმიანობას უარყოფითად აფასებს საზოგადოების 64%, დადებითად კი 30%.<sup>13</sup> უარყოფითი შეფასების მონაცემი 2018 წლის კვლევის შედეგებთან შედარებით აქაც გაზრდილია.

## მთავრობის საქმიანობის შეფასება

ამ ზარათის გამოყენებით, გთხოვთ, მითხრათ, როგორ შეაფასებდით არსებული მთავრობის საქმიანობას? (q4)



წყარო: NDI-ის 2019 წლის გამოკითხვის შედეგები „საზოგადოების განწოლა საქართველოში“

დემოკრატიული ინსტიტუტების მიმართ ნდობის დაბალი ხარისხი ნეგატიურად აისახება დემოკრატიზაციის პროცესზე ქვეყანაში. სახელმწიფო ინსტიტუტების გადაწყვეტილებებს დაბალი ლეგიტიმაცია და კლებადი საზოგადოებრივი მხარდაჭერა აქვს. მაშინ როდესაც, მოახლოებული საპარლამენტო არჩევნების გათვალისწინებით, საზოგადოების


<sup>13</sup> Ibid.

ჩართულობას დემოკრატიულ პროცესებში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. სავარაუდოა, რომ ნდობის ნაკლებობის პირობებში მოქალაქეები თავს შეიკავებენ არჩევნებში მონაწილეობისაგან, როგორც ამომრჩევლები, მოხალისეები და პოლიტიკური მხარდამჭერები.<sup>14</sup>

სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ ნდობის კლებას, არაერთი მიზეზი შეიძლება ჰქონდეს, მათ შორის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული ლეგიტიმური კითხვები, პოლიტიკური კრიზისების მართვის სახელმწიფო სტრატეგიის არარსებობა.

საზოგადოებას აქვს მზარდი მოთხოვნა ჩართული იყოს პოლიტიკურ პროცესებში, თუმცა სახელმწიფო ინსტიტუტებთან ურთიერთობის შესაძლო ბარიერები, ასევე მათი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა, ნდობის ჩამოყალიბებაზე ახდენს გავლენას.<sup>15</sup>

**POLDIRN: როგორი მიმართულებით ვითარდება საქართველო?  
x DEMGOV: დემოკრატია ნიშნავს – მთავრობის მიერ  
პრობლემატურ საკითხებთან დაკავშირებით ჩემი ამრის  
გათვალისწინება (%)**



- საქართველო ნამდვილად არასწორი მიმართულებით ვითარდება
- საქართველო ძირითადად არასწორი მიმართულებით ვითარდება
- საქართველო საერთოდ არ იცვლება
- საქართველო ძირითადად სწორი მიმართულებით ვითარდება
- საქართველო ნამდვილად სწორი მიმართულებით ვითარდება
- არ ვიცი/უარი პასუხზე

NDI: საზოგადოების განწყობა საქართველოში, 2019 წლის ნოემბერი  
წყარო: <http://caucasusbarometer.org/>

საპარლამენტო არჩევნების მოახლოვებასთან ერთად, პოლიტიკურ პარტიებს შორის დიალოგისთვის სივრცე მცირდება, პოლიტიკური კონფრონტაციისა და პოლარიზაციის რისკი კი იზრდება, რაც ქართული პოლიტიკური დღის წესრიგისთვის ერთ-ერთი

<sup>14</sup> კახიშვილი, ლ. (2019) „ქართული პოლიტიკური პარტიების მიმართ ნდობის კლებადი ტენდენცია:რას ნიშნავს ეს დემოკრატიისთვის საქართველოში და როგორ შეიძლება უარყოფითი შედეგების თავიდან აცილება?“ საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, გამოცემა N17; ასევე, Ceka, B. (2012). “Do Perils of Political Competition and Trust in Political Parties in Eastern Europe”. *Comperative Political Studies*, 46(12), 1610-1635.

<sup>15</sup> კავკასიის რესურსების ცენტრი (2019). აგებულია მონაცემთა ონლაინ ანალიზის ვებ-გვერდზე <https://caucasusbarometer.org/> წვდომის თარიღი 30.01.2020.

უმთავრესი გამოწვევა იქნება 2020 წელს. მომეტებულია პოპულისტური ნაციონალისტური პარტიების გააქტიურების შესაძლებლობაც, საპარლამენტო მანდატების მოპოვების მიზნით.

### პოპულისტური ნაციონალისტური ჯგუფები საქართველოში

საქართველოში პოპულისტური ჯგუფების გავლენა პოლიტიკურ პროცესებზე უფრო ხილვადი და ინტენსიური ხდება. მნიშვნელოვანი სიგნალი იყო საზოგადოებისთვის ნაციონალისტური პოპულისტური ნარატივის გაჟღერება საპარლამენტო ტრიბუნლიდან, რამაც ლეგიტიმაციის ხარისხი მიაჩნა ანტი-დასავლურ დისკუსიებს საქართველოში.<sup>16</sup> პოპულისტური ჯგუფებისა და პარტიების აქტივობები მოიცავს, როგორც საპროტესტო აქციების ორგანიზებას, ასევე სოციალური ქსელებითა და მედია საშუალებებით ანტი-ლიბერალური და ანტი-დასავლური პოზიციების გაჟღერებასა და მხარდაჭერას.<sup>17</sup> მოსაზრება, რომ მათი გავლენა პოლიტიკურ პროცესებზე მზარდია დასტურდება ბოლოდროინდელი კვლევებით.<sup>18</sup> დეკლარირებულად, საჯარო განცხადებებისა და შეკრებამანიფესტაციების ფორმით, ასევე დაფარულად, სოციალური ქსელების მეშვეობით, პოპულისტური ჯგუფები პოზიციონირებენ პოლიტიკურ პროცესებში.

პოპულისტური ნაციონალისტური აქტივისტები შეიძლება დაიყოს რამდენიმე ჯგუფად:

- პოლიტიკური პლატფორმის მქონე საპარლამენტო და არასაპარლამენტო პარტიები;
- ცალკეული ლიდერების მიერ და გარშემო ფორმირებული ჯგუფები;
- რელიგიური ინტერესთა ჯგუფები;
- მედიაში და სოციალურ ქსელებში შექმნილი, დაფინანსებული და ფარული ჯგუფები.

პოპულისტური პოლიტიკური პარტიები და აქტიური ინტერესთა ჯგუფები, მედიის მხარდაჭერით ახერხებენ პოლიტიკურ დღის წესრიგში არსებობას. მათ მიერ დაორგანიზებული და მხარდაჭრილი აგრესიული მოწოდებების შემცველი აქტივობები, საზოგადოებრივ ყურადღებას მზარდად იქცევს და საქართველოს ევროპული ინტეგრაციის კონტექსტშიც ანალიზდება.<sup>19</sup>

სოციალურ ქსელებში ქართული ანგარიშები, რომლებიც პოზიციონირებდნენ როგორც ახალი ამბების სააგენტოები, საჯარო პირები და მედია საშუალებები, მეტწილად ავრცელებდნენ ინფორმაციას პოლიტიკური თემატიკის შესახებ, მათ შორის არჩევნების, სამთავრობო პოლიტიკის, ადგილობრივი აქტივისტებისა და ოპოზიციის შესახებ.<sup>20</sup> ანტი-

<sup>16</sup> საქართველოს პარლამენტში, პოლიტიკური პარტია „პატრიოტთა ალიანსი“, რომელმაც 5%-იანი ბარიერი გადალახა.

<sup>17</sup> ლებანიძე, ბ. (2019). „პოპულისტური ნაციონალიზმი საქართველოში: როგორია მისი გავლენა საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პროცესზე?“ საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, გამოცემა N18; მაგალითისთვის, ასევე იხილეთ Facebook ჯგუფები: „Welcome to Georgia“, „ანტი-პარადოქსი“, „ანტი-ლიბერალური გვერდი“, წვდომის თარიღი 23. 01.2020.

<sup>18</sup> ლებანიძე, ბ. (2019). „პოპულისტური ნაციონალიზმი საქართველოში: როგორია მისი გავლენა საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პროცესზე?“ საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, გამოცემა N18.

<sup>19</sup> *Ibid.*

<sup>20</sup> ტაბულა, „Facebook-მა საქართველოს ხელისფულებასთან დაკავშირებული ასობით გვერდი და ჯგუფი გააუქმა“ (2019) ხელმისაწვდომია:<http://www.tabula.ge/ge/story/161994-facebook-ma-saqartvelos->

დასავლური და ანტი-დემოკრატიული პროპაგანდით გაჯერებული გვერდების მხარდაჭერა საქართველოს ხელისუფლებას დაუკავშირა Facebook-მა.<sup>21</sup> იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რომ საქართველოში დემოკრატიული მმართველობის გაძლიერების მოლოდინები აქვთ საერთაშორისო პარტნიორებს, მათ შორის აშშ-სა და ევროპულ კავშირს, პოპულისტურ ნაციონალისტურ ჯგუფებთან საქართველოს ხელისუფლების შესაძლო კავშირი, ეჭვქვეშ აყენებს მმართველი ელიტის ღირებულებებსა და დასავლურ პოლიტიკურ არჩევანს, შესაბამისად საფრთხეს უქმნის საქართველოს საერთაშორისო მხარდაჭერასა და დემოკრატიული პროცესების გაძლიერებას.

ჰომოფობიური პოპულისტური ჯგუფები გამოხატვის ძალადობრივ ფორმებსაც იყენებ, არღვევენ საზოგადოებრივ წესრიგს, თუმცა სახელმწიფო მათ გამოხატვის თავისუფლებით მოსარგებლე პირთა წრედ განიხილავს და არაეფექტიანად რეაგირებს ინდივიდუალური ძალადობის ფაქტებზე.<sup>22</sup> სახელმწიფო ინსტიტუტებს არ აქვთ მყისიერი რეაგირება ძალადობრივ მოწოდებების გაჟღერებასთან ერთად, რაც დანაშაულის პრევენციის მიზნებიდან გამომდინარე ლეგიტიმური და გამართლებული იქნებოდა. სახელმწიფოს პოლიტიკა ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის კონტექსტში, შეკრებისა და გამოხატვის ფუნდამენტური თავისუფლების უზრუნველსაყოფად არათანმიმდევრულია. ამ კონტექსტში საყურადღებოა 20-21 ივნისის აქცია, რამაც სერიოზული კითხვები გააჩინა ძალის გამოყენების პროპორციულობისა და სამართალდამცავთა მხრიდან უფლებამოსილების გადამეტების შესაძლო შემთხვევების შესახებ.<sup>23</sup>

ბოლო დროინდელი მოვლენებიდან, აღსანიშნავია პატრიოტთა ალიანსის მიერ, NDI-ის საზოგადოების განწყობების თაობაზე ჩატარებული უახლეს კვლევის მყისიერად შეაფასება, სადაც განაცხადა, რომ 90-იანი წლებიდან ამ ტიპის კვლევები ტყუილებზეა აგებულია, პოლიტიკურად მიკერძოებულია, სიყალბეა და ამასთან „ეს ე.წ. კვლევები პირდაპირ უქმნის საშიშროებას ჩვენს სახელმწიფოს და უკვე იქცა სახელმწიფო უსაფრთხოების პრობლემად“.<sup>24</sup> პატრიოტთა ალიანსი მოუწოდებს სახელმწიფო ინსტიტუტებს დაინტერესდნენ ამ საკითხით და დაიწყონ გამოძიება.<sup>25</sup> ამ ვითარებაში, ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ეს

[xelisuflebastan-dakavshirebuli-asobit-gverdi-da-igufi-gaauqma](https://www.facebook.com/news/2019/12/removing-coordinated-inauthentic-behavior-from-georgia-vietnam-and-the-us/) წვდომის თარიღი:01.02.2020; ასევე იხილეთ: Facebook, “Removing Coordinated Inauthentic Behavior from Georgia, Vietnam and the USA”, (2019) ხელმისაწვდომია:<https://about.fb.com/news/2019/12/removing-coordinated-inauthentic-behavior-from-georgia-vietnam-and-the-us/> წვდომის თარიღი 01.02.2020.

<sup>21</sup> Facebook-მა 418 ქართული ანგარიში (39 პროფილი, 344 გვერდი, 13 ჯგუფი და 22 Instagram ანგარიში) გააუქმა, ხეტალურად იხილეთ: ტაბულა, „Facebook-მა საქართველოს ხელისუფლებასთან დაკავშირებული ასობით გვერდი და ჯგუფი გააუქმა“ (2019)

ხელმისაწვდომია:<http://www.tabula.ge/ge/story/161994-facebook-ma-saqartvelos-xelisuflebastan-dakavshirebuli-asobit-gverdi-da-igufi-gaauqma> წვდომის თარიღი:01.02.2020;

<sup>22</sup> ტაბულა (2019)“სახელმწიფო მშვიდობიან აქციებს შლის და განსხვავებულად რეაგირებს მოძალადე ჯგუფებზე“ ხელმისაწვდომია: <http://www.tabula.ge/ge/story/161279-lomjaria-saxelmtsifo-mshvidobian-aqciebs-shlis-da-gansxvavebulad-reagirebs-modzalade> წვდომის თარიღი 01.02.2020.

<sup>23</sup> *Ibid.*

<sup>24</sup> „ინაშვილი ლორა თორნტონის წინააღმდეგ გამოძიების დაწყებას ითხოვს“, ტაბულა, 20 იანვარი 2020, ხელმისაწვდომია [http://www.tabula.ge/ge/story/163473-inashvili-lora-torntonis-tsinaagmdeg-gamodziebis-datskebas-itxovs?fbclid=IwAR3jBQFHW1TvmMTTPcoZs9EYuluKchGYrb1MHy1RJ1pMuDwDsNG\\_9YlvKaw](http://www.tabula.ge/ge/story/163473-inashvili-lora-torntonis-tsinaagmdeg-gamodziebis-datskebas-itxovs?fbclid=IwAR3jBQFHW1TvmMTTPcoZs9EYuluKchGYrb1MHy1RJ1pMuDwDsNG_9YlvKaw)

წვდომის თარიღი 25.01.2020.

<sup>25</sup> *Ibid.*



პოლიტიკური პარტია წარმოდგენილია პარლამენტში, უახლესი გამოკითხვების მიხედვით კი საზოგადოების 3% დაუჭერდა მათ მხარს მომავალ არჩევნებში.<sup>26</sup> განცხადების გავრცელებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, პატრიოტთა ალიანსმა აქცია გამართა აშშ-ის საელჩოს წინ, მოწოდებებით IRI-ის და NDI-ის საქმიანობის აკრძალვის თაობაზე საქართველოში.<sup>27</sup> ამ კონტექსტში, აღსანიშნავია, ამ ჯგუფების პოზიციების კონტრასტულობა, რაც მოიცავს როგორც ხელისუფლების მხარდამჭერ, ასევე მის საწინააღმდეგო ინციატივებსა და აქტივობებს. მაგალითად, პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლის ინიციატივის ჩავარდნის შემდგომ, პატრიოტთა ალიანსის ლიდერი აანონსებდა აქციებს და მოუწოდებდა ხელისუფლებას მიეღო გადაწყვეტილება პროპორციული სისტემის სასარგებლოდ.<sup>28</sup> მათი დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის შესახებ წარმოდგენები, სწორედ ამდაგვარი პოზიციონირებიდან გამომდინარეობს, რასაც თავისმხრივ ამყარებს არგუმენტები „ქართული ეროვნული ღირებულებების“ შესახებ.

### პოპულისტური ჯგუფების გავლენა

პოპულისტური ჯგუფების გავლენა საზოგადოებრივი ნდობის ფორმირებაზე სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ სპონტანურია და დაკავშირებულია პოლიტიკურ დღის წესრიგში არსებულ მწვავე თემებთან, როგორცაა მაგალითად ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გადაუწყვეტელობის ფონზე დავით გარეჯის საკითხის გამწვავება,<sup>29</sup> ევროპასთან ინტეგრაციის დისკუსიის ფარგლებში ლგბტ+ ადამიანების მიმართ დისკრინაციის მოწოდებები,<sup>30</sup> ვიზა ლიბერალიზაციის ფონზე ID ბარათების არ აღებასთან დაკავშირებით აქციების მოწყობა.<sup>31</sup>

პოპულისტური ნაციონალისტური ჯგუფების გავლენების გაძლიერებისთვის კარგ ნიადაგს ქმნის საზოგადოების ნდობის დაბალი ხარისხი სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ. მაგალითისთვის, თუ საზოგადოების 49% უარყოფითი დამოკიდებულება აქვს საქართველოს პრეზიდენტის მიმართ, ამავე გამოკითხვებით 35% აფასებს პატრიოტთა ალიანსის ლიდერს, ირმა ინაშვილს, უარყოფითად. მოსახლეების 30-35% არც დადებითად და არც უარყოფითად აფასებს პოლიტიკური ლიდერების საქმიანობას, რაც სხვა ფაქტორებთან

<sup>26</sup> ვაკვასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (2019) „NDI: საზოგადოების განწობა საქართველოში, 2019 წლის დეკემბრის გამოკითხვის შედეგები“, ჩატარებული NDI-ის დაკვეთით CRRC საქართველოს მიერ.

<sup>27</sup> ნეტგაზეთი, „IRI-სა და NDI-ის საქართველოში საქმიანობა უნდა აკრძალვას ინაშვილი“, ხელმისაწვდომია: [https://netgazeti.ge/news/422276/?fbclid=IwAR1shBZbm0fGF7yurqe\\_4cH0ieuCHA-tRNNiwXYBeux5hJwrMr5cfGhmaFU](https://netgazeti.ge/news/422276/?fbclid=IwAR1shBZbm0fGF7yurqe_4cH0ieuCHA-tRNNiwXYBeux5hJwrMr5cfGhmaFU) წვდომის თარიღი 27.01.2020. ასევე, Civil Georgia, „Alliance of Patriots Rallies, Wants NDI, IRI Banned in Georgia“, 2020, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/archives/336057> წვდომის თარიღი 28.01.2020.

<sup>28</sup> ნეტგაზეთი, „პროპორციულს თუ ჩააგდებთ, ყველა პარტიის მხარდამჭერს მოვუწოდებ, ქუჩაში გამოვიდნენ“ 2019, ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/news/404998/> წვდომის თარიღი 28.01.2020.

<sup>29</sup> მინესაშვილი, ს. (2019) „ულტრამემარჯვენე პოპულიზმის სოციალური საფუძვლები“, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, გამოცემა N16.

<sup>30</sup> მაგალითისთვის, 2019 წლის 8 ნოემბრის ჰომოფობიური აქცია კინოფილმის „And Then We Danced“-ის ჩვენებისას საქართველოს კინოთეატრებში.

<sup>31</sup> ლიბერალი (2013) „ID ბარათები: საფრთხე პირადი თავისუფლებისთვის“, ხელმისაწვდომია <http://liberali.ge/articles/view/3150/ID-baratebi--safrtkhe-piradi-tavisuflebitvis> წვდომის თარიღი 20.01.2019.


ერთად, შესაძლოა, პოლიტიკური ლიდერების საქმიანობის გამჭვირვალობის ნაკლებობითაც იყოს განპირობებული.

პოპულისტური ნაციონალისტური ჯგუფების ძალადობის შემცველი აქტივობები და მოწოდებები საფრთხედ უნდა აღიქმებოდეს და აძლევდეს ბიძგს სახელმწიფო ინსტიტუტებს ამ საფრთხის კანონიერი გზით განეიტრალების, თუმცა ამის საპირისპიროდ სახელმწიფო არ ემიჯნება, ცალსახად არ გმობს და არაეფექტიანად იძიებს პოპულისტური ჯგუფების უკანონო აქტივობებს საჯარო სივრცეში, მათ შორის სიძულვილის ენის გამოყენებას, ძალადობრივ მოწოდებებსა.

კითხვები პოპულისტური ნაციონალისტური პარტიებისა და ჯგუფების არადეკლარირებული მიზნების, დაფინანსების წყაროების, არაფორმალური კავშირებისა და გავლენების შესახებ, რასაც თან ერთვის დემოკრატიული ინსტიტუტების მიმართ საზოგადოების ნდობის კლებადი ტენდენცია ზრდის რისკს პოპულისტური ჯგუფების პოლიტიკურ პროცესებზე გავლენის გაძლიერების, გრძელვადიან პერსპექტივაში. თუმცა, უნდა აღინიშნოს რომ ამ დრომდე, ეს ჯგუფები ვერ ახდენენ მნიშვნელოვან, გარდამტეხ გავლენას საზოგადოების განწყობებზე ევროპული ინტეგრაციის მიმართ, მათ შორის, საფრთხეს ვერ უქმნიან ფუნქციური და ინსტიტუციური დაახლოების პროცესს ევროპულ კავშირთან.<sup>32</sup> ბოლო კვლევებითაც დასტურდება ევროპულ კავშირში გაწევრიანების მზარდი მხარდაჭერა მოსახლეობის მხრიდან.<sup>33</sup>

### ევროკავშირის მხარდაჭერა

მისაღება თუ არა საქართველოს მთავრობის გაცხადებული მიზანი საქართველო გახდეს ევროკავშირის წევრი? (q33)




წყარო: NDI-ის 2019 წლის გამოკითხვის შედეგები „საზოგადოების განწყობა საქართველოში“

<sup>32</sup> ლებანიძე, ბ. (2019). „პოპულისტური ნაციონალიზმი საქართველოში: როგორია მისი გავლენა საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პროცესზე?“ საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, გამოცემა N18.

<sup>33</sup> კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (2019) „NDI: საზოგადოების განწყობა საქართველოში, 2019 წლის დეკემბრის გამოკითხვის შედეგები“, ჩატარებული NDI-ის დაკვეთით CRRC საქართველოს მიერ.

**DEMNOW: საქართველოში ამჟამად არის დემოკრატია?  
x PHANDFP: რომელი პარტია გაუმკლავდებოდა შემდეგ  
საკითხებს ყველაზე კარგად? საგარეო პოლიტიკა (%)**



NDI: საზოგადოების განწყობა საქართველოში, 2019 წლის ნოემბერი  
წყარო: <http://caucasusbarometer.org/>

მოსახლეობის გამოთხვის შედეგებით, კითხვაზე არის თუ არა დემოკრატია ამჟამად საქართველოში და რომელი პარტია გაუმკლავდებოდა საგარეო პოლიტიკურ საკითხებს ყველაზე კარგად, ოპოზიციური პარტიებიდან მესამე ადგილს საპარლამენტო ნაციონალისტური პოპულისტური პარტია იკავებს.<sup>34</sup> თუმცა, პოლიტიკური პროცესებში არსებული გამოწვევების შედარებითი ანალიზით, საერთაშორისო და ეროვნული ექსპერტები პოპულიზმს ნაკლებად მნიშვნელოვან პრობლემად მიიჩნევენ საქართველოს დემოკრატიული განვითარებისთვის.<sup>35</sup>

ცხადია, საზოგადოების ნდობის ფორმირების პროცესი დემოკრატიული ინსტიტუტების მიმართ ხანგრძლივი და კომპლექსური პროცესია. მით უფრო იმ ფონზე, როდესაც ბოლო წლებში მოსახლეობის უმეტესობას ყველაზე დიდი ნდობა და მხარდაჭერა საქართველოს პატრიარქის მიმართ ჰქონდა.<sup>36</sup> ამ კონტექსტს პოლიტიკურის პარტიების მყიფე პოზიციონირება და საზოგადოებში არსებული სოციალური რწმენებიც განაპირობებს.<sup>37</sup>

### დასკვნა

საზოგადოების პოლიტიკური ნდობის ფორმირება დემოკრატიისა და სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ კომპლექსური პროცესია, რაც თავისთავად აისახება დემოკრატიზაციის ხარისხზე ქვეყანაში. საქართველოში, დემოკრატიული ინსტიტუტების მიმართ ნდობის დეფიციტი რომ არსებობს, ამას ადასტურებს როგორც გასული წლების, ასევე უახლესი კვლევები. საქართველოს დემოკრატიზაციის პროცესისა და სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ, საზოგადოების ნდობის კლებადი ტენდენცია შესაძლოა მრავალი

<sup>34</sup> კავკასიის რესურსების ცენტრი (2019). აგებულია მონაცემთა ონლაინ ანალიზის ვებ-გვერზე <https://caucasusbarometer.org/> წვდომის თარიღი 30.01.2020.

<sup>35</sup> *Ibid.*

<sup>36</sup> კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (2019) „NDI: საზოგადოების განწყობა საქართველოში, 2019 წლის დეკემბრის გამოკითხვის შედეგები“, ჩატარებული NDI-ის დაკვეთით CRRC საქართველოს მიერ.

<sup>37</sup> კახიშვილი, ლ. (2019) „ქართული პოლიტიკური პარტიების მიმართ ნდობის კლებადი ტენდენცია: რას ნიშნავს ეს დემოკრატიისთვის საქართველოში და როგორ შეიძლება უარყოფითი შედეგების თავიდან აცილება?“ საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, გამოცემა N17.

ფაქტორით იყოს განპირობებული. ამ კონტექსტის გათვალისწინებით, განსაკუთრებით საყურადღებოა საქართველოში პოპულისტური ჯგუფების გავლენა პოლიტიკურ პროცესებზე, რაც უფრო ხილვადი და ინტენსიური ხდება. კითხვები პოპულისტური ნაციონალისტური პარტიებისა და ჯგუფების არადეკლარირებული მიზნების, დაფინანსების წყაროების, არაფორმალური კავშირებისა და გავლენების შესახებ, რასაც თან ერთვის დემოკრატიული ინსტიტუტების მიმართ საზოგადოების ნდობის კლებადი ტენდენცია, ზრდის რისკს, გრძელვადიან პერსპექტივაში, პოპულისტური ჯგუფების პოლიტიკურ პროცესებზე გავლენის გაძლიერების.

საქართველოს დემოკრატიზაციას, ცხადია, მხოლოდ ეროვნული კონტექსტი არა აქვს და პირდაპირ კავშირშია საქართველოს საგარეო პოლიტიკურ დღის წესრიგთან, მათ შორის, ევროპულ კავშირთან პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესთან. შესაბამისად, პოპულისტური ნაციონალისტური ჯგუფების მხრიდან ანტი-დასავლური და ანტი-ლიბერალური ღირებულებების მხარდაჭერა ნეგატიური ეფექტის მომტანია ქვეყნის პროდასავლური კურსისთვის. მით უფრო იმ პირობებში, როდესაც ხელისუფლება კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში არ რეაგირებს ამ ჯგუფების მხრიდან ძალადობის შემცველ ქმედებებსა თუ მოწოდებებზე. ამასთან, მმართველი პოლიტიკური ელიტის შესაძლო ფარული მხარდაჭერა ანტი-ლიბერალური ღირებულებების მიმართ საერთაშორისო ყურადღების ქვეშ უკვე მოექცა.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ საერთო პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური გამოწვევების ფონზე, პოპულისტური ნაციონალისტური პარტიებისა და ჯგუფების გავლენა, საზოგადოების ნდობაზე დემოკრატიისა და სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ, სპონტანურია და არა გარდამტეხი. მიუხედავად ანტი-ლიბერალური მიდგომების მხარდასაჭერად ინტენსიური პოზიციონირებისა, პოპულისტური ნაციონალისტური პოლიტიკური პარტიები და ჯგუფები დემოკრატიისა და სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ საზოგადოების ნდობაზე პირდაპირ ნეგატიურ გავლენას ვერ ახდენენ. რაც თავისთავად არ გამორიცხავს მათი სამომავლო გავლენის გაძლიერების შესაძლებლობას, მყიფე დემოკრატიზაციის პროცესის პირობებში.

### **რეკომენდაციები:**

#### **სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ:**

- ცალსახად და უპირობოდ გაემიჯნოს პოპულისტური ნაციონალისტური პარტიებისა და ჯგუფებისაგან გაუღებულ ძალადობრივ და ანტი-დასავლურ მოწოდებებს, ძალადობრივი მოწოდებების პრევენციის, დემოკრატიზაციის ხარისხის გაუმჯობესებისა და ევროინტეგრაციული პროცესის შეუქცევადობის მიზნებიდან გამომდინარე.
- აქტიურად და ეფექტიანად შეუწყოს ხელი საზოგადოებაში დასავლური ღირებულებების შესახებ ცნობიერების ამაღლებას, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში ანტი-დასავლური პროპაგანდის ეფექტურ ხელშემშლელ ბარიერებს შექმნის.

- დემოკრატიზაციის ხარისხის გასაუმჯობესებლად ქვეყანაში, უზრუნველყოს საზოგადოების ფართო წრეების ჩართულობა სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმვისა და იმპლემენტაციისას, ღიაობისა და გამჭვირვალების პრინციპებზე დაფუძნებით;

**პოლიტიკური პარტიების მიმართ:**

- პოლიტიკურ დღის წესრიგში, განსაკუთრებით კი წინასაარჩევნოდ, არ წახალისონ პოპულისტური ნარატივი;
- ინტენსიური დიალოგისთვის გამოინახოს საკმარისად მაღალი პოლიტიკური რესურსი;
- სათანადო გულმოდგინებით მიმართონ ძალისხმევა პოპულისტური ნაციონალისტური ნარატივის თავიდან ასარიდებლად, როგორც დეკლარირებული პოლიტიკური დღის წესრიგისა და საარჩევნო პროგრამების ფარგლებში, ასევე საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში.
- შექმნან ძლიერი პოლიტიკური პლათფორმები, ახალგაზრდა ლიდერების მოსაზიდად, ევროპული ღირებულებებისა და ფასეულობების მხარდასაჭერად.



საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი  
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS



**National Endowment  
for Democracy**

*Supporting freedom around the world*

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით.

პუბლიკაცია მომზადდა „ნაციონალური ფონდი დემოკრატიისთვის“ (NED) მხარდაჭერით. აქ გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა, არ ემთხვეოდეს „ნაციონალური ფონდი დემოკრატიისთვის“ და „საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის“ შეხედულებებს.

#### **დოკუმენტის ციტირების წესი:**

გვანცა დავითაშვილი, „საზოგადოების ნდობა დემოკრატიისა და სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ: პოპულისტური ნაციონალისტური ჯგუფების გავლენები“, პოლიტიკის დოკუმენტი #22, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, თებერვალი 2020.

© Georgian Institute of Politics, 2020

Tel: +995 599 99 02 12

Email: [info@gip.ge](mailto:info@gip.ge)

[www.gip.ge](http://www.gip.ge)